ცნობის ფურცელი

VI წ. | ყოველ-დღიური გამოცემა | 1901 | შაბათი, 10 ნოემბერი | № 1637

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, **№ 27** და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. **ტელეფონი № 372.**

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე"-„ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მ ო ა მ ბ ე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. —
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50კ.
1 „	75 „	1 „	1 „ 10 „

ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება: საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372**

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."**

კვირას, 11 ნოემ | **ქართული თეატრი** | **ზერს 1901 წელს**

✠ დაკლებულის ფასებით ✠

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად მ. მ. საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. დენიერისა, თარგ. ა. ცაგარლის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარართელი, ნებიერიძისა, მდივანი და ლეჟავა. ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ადგილების ფასები: გალერეია 20 კაპ., პარტერი—50 კაპ., ლოჟა—3 მან.

მზადდება **ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ** ახალი პიესა ოსტროვსკისა **„მგლები და ცხვარნი"**.

რეჟისორი **ვ. გუნია**.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი დარიბთათვის: უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ტელეფონი № 274. (წლ.)

ახალი წიგნი

„საქართველოს წმინდანები"

იყიდება წერა-კითხვის კანცელარიაში.

ფასი 40 კაპ. (5—3)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

გამოფენაზე,

მალე დახურვისა გამო იყიდება მცენარეულობა საბაღოსნო დაწესებულების „როკვეისა" ფასების დაკლებით. (2—2)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 11 დღესა, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება. მოსახდენია: 1) არჩევანი გამგეობის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა, 2) არჩევანი სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა; 3) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—2)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში იყიდება სამი წლის ხეხილის ნერგები. ვაშლის ხისა—წითელი, თეთრი და ყვითელი კალვილი, ანტოვოვკა, სინოპი და რენეტი; მსხალი—ალექსანდრეული და ზამთრის გულაბი; ატმები. ფასები ხელ-მისაწვდომია. (3—2).

„იაფი ნომრები"

(ბარონის ქუჩა სახლი მანთაშევისა)

სრულიად ახლად შეკეთებულია, შუაგულ ქალაქში, ფოსტა-ტელეგრაფის ახლოს. ნომრები 60 კ. და მეტი ფასისაც; თვიურად 15 მანეთიდან. (სისუფთავე და მეტი ყურადღება). (6—189—3)

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყება:

ეგზამენი დაიჭირეს და გადაყვანილ იქმნენ საგენერალო შტაბის ნიკოლოზის აკადემიის უმცროს კლასიდან უმფროსში სხვათა შორის ორი ქართველიც: მე-20 საარტილერიო ბრიგადის პორუჩიკი იმნაძე და ყარსის მეციხოვნე არტილერიის შტაბს-კაპიტანი მახვილაძე.

სამოქალაქო უწყება:

ჩარიცხულ იქმნენ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებად მეოთხე ხარისხით მიხეილ დათიაშვილი და მე-6 ხარისხით ილია ანანიაშვილი, ხოლო ალექსანდრე წინამძღვრიშვილი და ივანე ჩხენკელი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეებად; გამწესებულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი ვასილ სოსელია სურმალინის ფოსტა ტელეგრაფის კანტორაში, ილარიონ კურტანიძე ზედამხედველად განჯის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში; იოსებ თედეშვილი აქსტაფისა, ხოლო ილია სახურია—შემახის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში.

გადაყვანილ იქმნა სურამის ფოსტა ტელეგრაფის კონტორის მოხელე ალექსანდრე მებურიშვილი ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ. დათხოვნილ იქმნენ, თანახმად თხოვნისა, სამსახურიდან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელენი:—აქსტაფისა-სიმონ დეკანოზიშვილი და ტფილისისა—დიმიტრი ალშიბაია.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

8 **ნოემბერი**

პეტერბურგი. მიტროპოლიტი ანტონის თავმჯდომარეობით კომისიამ მართლ-მადიდებელ სამღვდელოებისათვის საპენსიო წესდება შეადგინა და სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა დასამტკიცებლად.

მუკდენიდან (მანჯურიიდან) ამბავი მოვიდა, რუსეთის ქაღალდის მანეთიანს ჩინელები 1 მან. 20 კაპ. და 1 მან. 30 კაპ. ყიდულობენო, თანაც ამ ფულს ოქროთი და ვერცხლით იხდიანო. ამერიკის დოლარს და ჩინეთის ფულს კი 20% და 30% ფასი დააკლდაო.

7 ნოემბერს, დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე საზღვარ-გარეთ წავიდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ეხლა გამოაშკარავდა, რომ მოსკოვის მოქალაქეს შაპოშნიკოვს თავისი ალალი და ცულით დაეჩეხა და მისი გვამი სარდაფში დაემალა. ეს მკვლელობა შემთხვევით შვიდი დღის შემდეგ აღმოაჩინეს. მკვლელი დააპატიმრეს.

ყაზანი. 8 ნოემბერს სასულიერო აკადემიამ თავის დაარსების მე 59 წლის თავი იდღესასწაულა.

ნიუ-იორკი. ქალაქი კოლონი კოლუმბიაში ორი საათის ბრძოლის შემდეგ ლიბერალებმა აიღეს. მთავრობის სურვილის თანახმად, ამერიკის სამხედრო გემმა 100 კაცი გადმოიყვანა ხმელეთზე რკინის გზის სადგურის დასაცველად.

კოპენჰაგენი. დღეს კრონ-პრინცთან სადილად იყვნენ მეფე, ხელმწიფე-დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, პრინცი ვოლდემარი თავისი მეუღლით, გარეშე საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი და სევერსკის პოლკის ოფიცრების დეპუტაცია.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ძლიერა ცდილობს ინგლისის ოპოზიცია სამხრეთ-აფრიკაში სისხლის ღვრა შეწყვიტოს, მაგრამ მთავრობა ისევ თავისას გაიძახის: სანამ სრულად არ დავიმორჩილებთ ბურებს და ჩვენსას არ გავიყვანთ, მინამ შერიგებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო. მართალია ინგლისის ოპოზიცია მხნედ ეკიდება თავის წმინდა საქმეს, მაგრამ მთავრობის მომხრე ხალხი გაცილებით მეტია და ამიტომ მთავრობაც თითქმის არად აგდებს ოპოზიციის სამართლიან ჩივილსა. არა თუ ერის-კაცები, თვით სამღვდელოებაც კი მომეტებულ ნაწილად იმას თხოულობს, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი გამარჯვებით დავამთავროთ და ბურები მთლად გავანადგუროთო. თუ ინგლისში ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვთ ეგრედ წოდებულ ჯინგოისტებს (წრეს გადასულ პატრიოტებს), ამ შოვინისტებს გასაგონადაც ეჯავრებათ ლიბერალების ლაპარაკი. ვინ რას იტყვის, ინგლისის სახელი ხომ სულ მთლად დაეცა, თუ ბურები ვერ დავიმორჩილეთო. მთავრობაც, რასა თქმა უნდა, ყოველნაირად ცდილობს, რომ ეს შოვინისტური გრძნობები გააძლიეროს და უფრო გაახუროს; სულ იმას ჩასძახის ხალხსა, მტრის გულისად არ უნდა გავსკდეთ, ვინც შერიგებას გვირჩევს, ის ჩვენი ქვეყნის მოღალატეაო, ინგლისის მტერიაო. ხალხსაც ჭკუაში მოსდის მთავრობის ლაპარაკი და აკი ამიტომაც ინგლისელები არას იშურებენ, რომ ეს უბედური ომი როგორმე გამარჯვებით გაათაონ და მტრის გული არ გაახარონ.

ამ ბოლოს დროს ბურებმა რამდენსამე ადგილს ძრიელ დაამარცხეს ინგლისის ჯარი. დელარეიმ მადალიის მთებს ახლოს და ბოტამ ბეტოლს ახლო ხომ სულ გაანადგურეს თავიანთ მოწინააღმდეგეები. ყველა ამ გამარჯვების ამბავმა, მეტადრე ბოტას გამარჯვებამ, ძლიერ დაადონა ინგლისის ერი, თვით ჯინგოისტებმაც კი თმაში იტაცეს ხელი და დაფიქრდნენ: როდემდე უნდა გავაგრძელოთ ეს ომიო, წყალი ხომ არ იღვრება, სისხლი იღვრება სამხრეთ-აფრიკაშიო, ამას გარდა რამოდენა ფული უნდება ამ სისხლის ღვრას, ლამის თან გადავყვებით და აქამდე კი ვერაფერს ვერ გამხდარვართო. ერთის სიტყვით, ინგლისის ერი ძლიერ დაღონდა და მთავრობას კიცხვა და ლანძღვა დაუწყო.

ხალხის გამხნევება და მთავრობის პოლიტიკის დაცვა თითონვე მთავრობის წარმომადგენლებმა იკისრეს. ჯერ თითონ პირველმა მინისტრმა ლორდ სოლსბერიმ ილაპარაკა. ამის ნალაპარაკევი დეპეშებშიაც იყო გადმოცემული და მეც მოგახსენეთ. 31 ოქტომბერს კამილტონის კლუბში სამხედრო მინისტრს ბროდრიკსაც ულაპარაკნია.

ოპოზიცია ჰკიცხავს მთავრობას—ძლიერ უღვთოდ, უდიერად ექცევი ბურებსაო. ბროდრიკს ამის პასუხად უთქვამს: არც ერთი ომის დროს არ მოქცეულან ისე ადამიანურად, როგორც ინგლისი სამხრეთ-აფრიკაში იქცევაო. მთავრობა ძლიერა სწუხს, რომ «სამხედრო ბანაკებში» ბურების ქალები და ბავშვები ათასობით სწყდებიან, ამ ბანაკებში შეყრილ ბურებს ჰიგიენისა არა ესმით რა, ავადმყოფობას ჰმალვენ და ექიმებს ახლოც არ იკარებენ. ამიტომაცაა, რომ ამ ბანაკებში მეტი ხალხი იხოცება, სანამ ქალაქებში, მაგრამ ზემონათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ ამ ბანაკებისა და ქალაქების ერთმანეთთან შედარება არც კი შეიძლება.

თუ ომი ასე გაგრძელდა, ეს იმის ბრალია, რომ აჯანყებულებს მეტად ხათრიანად და რბილად ვეპყრობით. სამხრეთ-აფრიკაში ბრძოლა მით უფრო გასაჭირია, რომ ამ ბოლოს დროს ბურების რაზმები ხელიდან უსხლტებიან ინგლისის ჯარს და ვინც კი გზაში კაფრი ჰხვდებათ, ყველასა ჰკლავენ, რომ ინგლისის ჯარს ბურების გზა და კვალი არ უჩვენონ. ჩვენი მზვერავები ხშირად იწერებიან, ბურები კაფრებსა ჰხოცავენო. ამიტომ კიტჩენერს შევეკითხე ამის თაობაზე და ამ დღეებში ამნაირი პასუხი მივიღე: «ამ ბოლოს დროს ბურები მეტად ხშირად გულგრილადა ჰკლავენ ხოლმე კაფრებსა». ორატორმა კიდევ რამდენიმე ამისთანა მაგალითი დაასახელა და შენიშნა: მე ფიქრადაც არ მომდის, ყველა ბურებს ამისთანა გულქვაობა დავაბრალო, მაგრამ თუ ამნაირი უაზრობა ხშირად მოახდინეს, მაშინ ბურებს ისე ვეღარ მოვეპყრობით, როგორც მეომარ ხალხს ეკუთვნის.

ბროდრიკმა მოახსენა კრებას, «სამხედრო ბანაკებში» და სხვა-და-სხვა კუნძულებზე ინგლისელებს 42,000 ბური ჰყავთ ტყვედაო. მოკლული, დაჭრილი და სამხრეთ-აფრიკიდან წასული ბურების რიცხვიც 11,000 იქნება; ამათში ისინიც უნდა ჩავთვალოთ, ვისაც პატიოსანი სიტყვა აქვს ჩამორთმეული, რომ აღარ გვეომოს და ისაა გაშვებული. თოფ ქვეშ დახლოვებით 10,000 ბური-ღა იქნება. ბლოკჰაუზების (პატარ-პატარა სიმაგრეების) აშენებით ინგლისელებმა ის მოახერხეს, რომ ბურებს ტრანსვაალში 14,700 ოთხ-კუთხე კილომეტრის სივრცეზე არ შეუძლიათ ყოფნა და ორანჟეს რესპუბლიკაში 17,000 ოთხ-კუთხ კილომეტრის სივრცეზე. დანარჩენ ადგილებში ყველგან სწრაფი რაზმები მოქმედებენ ამ ჟამად და ბურებს სდევნიან. ამ წესის სიკეთე იქიდანაც სჩანს, რომ წარსულ თვეში რკინის გზით მიმოსვლა ერთ ხელაც არ იყო შეწყვეტილი, როდესაც სეკტემბერში 32 ჯერ წაახდინეს რკინის გზა.

ბროდრიკმა ასე დაამთავრა თავისი სიტყვა: «მთავრობა დარწმუნებულია, რომ ბურების წინააღმდეგობა უსათუოდ უნდა დავთრგუნოთ, ამიტომ მთავრობას განზრახვა აქვს კიტჩენერს ახალი მაშველი ჯარები გაუგზავნოს. სწორედ ეხლა, მისწრებასავით ბრიტანიის ერთმა კოლონიამ (კანადამ) გამოაცხადა, თუ საჭიროა, მეც მოგაშველებთ ჯარსაო. ორ პოლკ ცხენოსან ჯარს, ორი ათას კაცს ქვეითა ჯარს და ორ ბატალიონ მუდმივ ქვეითა ჯარს ებძანათ, მზად იყვნენ სამხრეთ-აფრიკაში წასასვლელად. ინდოეთიც გამოჰგზავნის 4 ბატალიონ ქვეითა ჯარს და ორ პოლკ ცხენოსან ჯარს; ამის მაგივრად ინდოეთში სხვა ჯარი გაიგზავნება; გაიგზავნება აგრეთვე არტილერიაც, რადგან სამხრეთ-აფრიკაში ეხლა არტილერია საჭირო აღარაა. ამას გარდა რამდენიმე პოლკი მილიციაც გაიგზავნება სამხრეთ-აფრიკაში».

ვნახოთ, ბ-ნო მინისტრო, როგორ გამართლდება თქვენი მუქარა, ვნახოთ როგორ გაანადგურებთ ბურებს.

საფრანგეთი. იანის დეპარტამენტის უმთავრეს ქალაქ ოქსერში, 31 ოქტომბერს, ნაფიცთა მოსამართლეების წინ ერთი საინტერესო საქმე გაარჩიეს. ადგილობრივ გაზეთს «პიუპიუ»-ს ბრალდებოდა, რომ ჯარს შეურაცხყოფა მიაყენაო. უმთავრესი ბრალდებული ჰერვე სანსის ლიცეუმია ისტორიის მასწავლებლად. ხსენებულ გაზეთში ჰერვემ რამდენიმე წერილი დაბეჭდა. ჰერვე ახალ ჯარის კაცებს უხსნიდა, რომ ჯარში და ნამეტნავად კაზარმებში დიდი უსამართლობა ჰსუფევს. ამიტომ მუდმივი ჯარი ძლიერ საშიშია ერის ზნეობისა და საერთაშორისო მშვიდობიანობისათვისაო. საერო განათლების მინისტრის განკარგულებით ჰერვე თავის თანამდებობიდან გადააყენეს დროებით, სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამართალშიაც მისცეს. სამართალში მისცეს აგრეთვე გაზეთის გამომცემელი, სტამბის პატრონი და კიდევ ერთი თანამშრომელი. სასამართლოში რამდენიმე კაცი ალაპარაკეს. ესენი სულ ჰერვეს ამხანაგები, მასწავლებლები იყვნენ. ყველამ გამოაცხადა ჩვენც იმ აზრისანი ვართ ჯარზე, რა აზრისაც ჰერვეაო. ნამეტნავად დიდი შთაბეჭდილება ერთმა სამხედრო ექიმის ალაპარაკებამ მოახდინა. ამ ექიმმა კაზარმებზე ილაპარაკა და ამტკიცებდა, რომ კაზარმაში ჯარის კაცები ზნეობით იხრწნებიანო. დასასრულ ექიმმა გამოაცხადა, ოფიცრებშიაც ბევრი ამავე აზრისააო. პროკურორმა მოითხოვა, ბრალდებულები სასტიკად დასაჯეთო. ჰერვემ თავის თავის დასაცველად ბევრი ილაპარაკა; ბოლოს გამოაცხადა: ვიდრე მუდმივი ჯარის მაგივრად მილიციას არ დააწესებენ, მანამდე ყოველთვის მილიტარიზმის მტერი ვიქნები და მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელს არ ავიღებო. ნაფიცი მოსამართლე სულ 12 იყო. როცა სათათბირო ოთახში გავიდნენ, გამოჩნდა, რომ ექვსმა ბრალდებულების მხარი დაიჭირა, ექვსი მათ გამტყუნებას თხოულობდა. ამიტომ ყველა ბრალდებულები გაამართლეს.

ავსტრ-უნგრეთი. ავსტრიის პარლამენტის კომისიას 4 ხმის უმეტესობით 2 წინააღმდეგ დაუდგენია, კონსტიტუციის განთქმული მე 14 მუხლი მოისპოსო. ამ მუხლის ძალით იმპერატორს უფლება ჰქონდა, როცა გარემოება მოითხოვდა, სახელმწიფო საქმეები და თვით ბიუჯეტიც პარლამენტის ნება-დაურთველად, თავის ძალით, უბრალო ბძანებით დაემტკიცებინა. თუ კომისიის დადგენილება რეიხსტაგმაც არ დაამტკიცა, ეს დიდ გამარჯვებად ჩაითვლება. მაშინ ავსტრიის პარლამენტს ნამდვილი პარლამენტის ძალა და მნიშვნელობა მიეცემა.

✿ ავსტრიის პირველ მინისტრს კერბერს და უნგრეთისას სელის ავსტრ-უნგრეთის ტარიფზე მოულაპარაკნიათ. ამ მოლაპარაკებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ბუდაპეშტში დაუყოვნებლივ მეორედ განიხილავენ ამ ტარიფის პროექტს. ტარიფის განხილვას უსათუოდ ახალ-წლამდე დაასრულებენ.

✿ უნგრეთის სეიმში სეჩე-სიტეგის საპასუხო ადრესს ადგენდნენ. ამ დროს სლოვაკებისა და სერბების დეპუტატებმა ცალკე ადრესები შეადგინეს და ყველა თავიანთი ეროვნული მოთხოვნილებანი ჩასწერეს.

შეერთებული შტატები. ძლიერ უწყრებიან რუზველტს, ზანგებს ადამიანებად რად აგდებო, მაგრამ ის ყურსაც არ უგდებს თავის მოწინააღმდეგეებს. წარსულ კვირასაც კოლუმბიის შტატის მომრიგებელ მოსამართლედ ზანგი დაუნიშნავს. ამ ზანგს იჰარვარდის უნივერსიტეტის კურსი დაუმთავრებია და კოლუმბიაში ზანგების გიმნაზიის დირექტორის თანამდებობა სჭერია აქამდე.

✿ გაზეთები სწერდნენ, რუზველტი იმ აზრისაა, რომ ჯერ-ჯერობით სხვა სახელმწიფოებს სავაჭრო პირობებით ვერ შევეკვრებითო. წარსულ სამშაბათს პრეზიდენტთან ვაჭრების საზოგადოებათა წარმომადგენლები მისულან და უთხოვნიათ, კანადას სავაჭრო პირობებით შეეკრათო. ეს აუცილებლად საჭიროა, რადგანაც ამ ქვეყანასთან დიდი აღებ-მიცემობა აქვთ ჩვენ მეფაბრიკეებსაო. ჩვენთან მარტო ინგლისი და გერმანია ვაჭრობენ კანადაზე მეტსაო. პრეზიდენტმა უპასუხა დეპუტაციას: ეგ საქმე კარგად შევისწავლე, მაგრამ არ შეიძლება, რომ ერთს რომელიმე ქვეყანას სავაჭრო პირობებით შევეკრათ და სხვებს კი არაო. ამ საქმეს ეხლა ვიკვლევთ და იმედი მაქვს, კონგრესის მომავალი სესიის დროს ცოტათი მაინც შევასრულებთ თქვენ თხოვნასაო. დასასრულ პრეზიდენტმა ურჩია ვაჭრების წარმომადგენლებს: კონგრესის წევრებს ძალა დაატანეთ, რომ ამ საქმის შესრულებას ხელი შეუწყონო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

† გუშინ ბათუმიდან, საკუთარის კორესპონდენტისაგან, ჩვენ მოგვივიდა შემდეგი სამწუხარო დეპეშა: **„დღეს, 9 ნოემბერს, დილის 10 საათზე, უეცრად გარდაიცვალა ბათუმის ქალაქის თავი ასათიანი“.**

ლუკა ნიკოლოოზის-ძე ასათიანი ჩვენში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. საგუბერნიო ადმინისტრაციაში სამსახურის შემდეგ შეუდგა საზოგადო მოღვაწეობას და დღემდის არ განშორებია ამ ასპარეზს. იყო ქუთაისის ქალაქის თავად, ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარედ და სხვა. ეს მერვე წელიწადია ლ. ნ. ასათიანი მხნედ ემსახურებოდა ბათუმს, როგორც ქალაქის თავი.

ხვალ სურათებიან დამატებაში მოვათავსებთ განსვენებულის პორტრეტს.

◆ როგორც გადმოგვცეს, დუშეთის მაზრის სოფელ წკრისში **კეთრით ავადმყოფი** აღმოუჩენიათ. ავადმყოფს, გლეხს ზაქრიძეს ჩრდილოეთ კავკასიაში ჰგზავნიან კეთრით ავადმყოფთა ქსენონში; ხოლო მისი ოჯახის წევრებზე დაწესდა საექიმო ზედამხედველობა.

◆ ხირურგი **ვოინო** უკეთ არის; მას წამლობენ ექიმი პავლოვსკი და როზენბაუმი, რომელთაც სრული იმედი აქვთ, დაჭრილი მალე მორჩებაო. ვოინოს ბინაზე გამოძიება დასრულდა და ბინა ჩაებარა ინჟ. [illegible]როვსკის. მარიამ კოსსოვსკაიას დღეს დაასაფლავებენ კუკიის კათოლიკეთა სასაფლაოზე.

◆ წარსულ წლის ბოლოს უმართ. სენატმა წინადადება მისცა ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას განიხილოს საკითხი **ტფილისის სახელოსნო მმართველობის** შესახებ. ადმინისტრაციას დაევალა გამოარკვიოს, საჭიროა თუ არა ტფილისში დარჩეს განსაკუთრებული წოდებრივი მმარ-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ

II *)

მეცნიერება, მისი წარსული და მომავალი

ყველა ჩვენი ცოდნა, ყველა ჩვენი ფიქრი სამყაროს ანუ მსოფლიოს შესახებ დაფუძნებულია ელემენტარულ იდეებზედ, როგორიც არიან სივრცე, ნივთიერება (მატერია), სიცოცხლე, გრძნობა, მოძრაობა, დრო, ძალა და სხვ... ყველა ამგვარი იდეა ჩანერგულია ჩვენს გონებაში თვით ბუნების გავლენის მიერ, რადგან სივრცე, სხვა-და-სხვა ძალა, სიცოცხლე და სხვა არსებობენ თვით ბუნებაში, მეცნიერება კი იკვლევს მათ და ჰპოულობს შეუცვლელ მუდმივ ჭეშმარიტებას ანუ კანონს, რომელსაც ექვემდებარებიან ეს მოვლენანი. ყოველი ძალა, ამბობს მეცნიერება, ადვილად შეიცვლება მეორე, არა მის მსგავს, ძალად. სითბო გარდაიქცევა სინათლეთ, სინათლე-სითბოდ, სინათლე და სითბო ორივენი ადვილად შეიძლება გარდავაქციოთ ელექტრონად და ეს უკანასკნელი კიდევ შევცვალოთ მექანიკურ მოძრაობად. ელექტრონის მოსაპოვებლად ვახურებთ ქვაბებს, ე. ი. ვაჩენთ სითბოს, ეს სითბო აჩენს ორთქლს, რომელიც მოძრაობაში მოიყვანს მაშინას, მაშასადამე, სითბო გარდიქმნა მოძრაობად. მაშინის მოძრაობისაგან ჩნდება ელექტრონი, რომლითაც ჩვენ შეგვიძლიან გავინათოთ, მაშასადამე მუშაობა გარდაიქცა ელექტრონად, ხოლო ელექტრონი—სინათლედ.

ყოველი მუშაობა შეიძლება გაიზომოს და აღინიშნოს რომელიმე რიცხვით. ამ რიცხვს უნდა დაემატოს კიდევ ის სითბო, რომელიც ჩნდება ამ მუშაობის დროს; მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ რიცხვი ამ სითბოსი ყოველგვარ მუშაობის დროს ერთი და იგივე რჩება. აქედან ბ-ნმა ჯოულმა გამოიყვანა შესანიშნავი კანონი „დაცვა ენერგიისა“, ე. ი. საერთო ჯამი ბუნების ძალებისა რჩება შეუცვლელად, ჩვენ ვერც ერთ ძალას ვერ მოუმატებთ, ვერც დავაკლებთ ბუნებას, მხოლოდ შეგვიძლიან შევცვალოთ ერთი ძალა მეორე ძალად. შეიძლება ორგანიული სიცოცხლე სულ მთლად გაცივდეს, შეიძლება თვით მზეც გაჰქრეს, მაგრამ საერთო ჯამი ბუნების ძალთა დარჩება ერთი და იგივე, საერთო ენერგია დარჩება შეუცვლელად, მხოლოდ ეს ენერგია იქნება განაწილებული. აქედან ლორდ კელვინმა გამოიყვანა შესანიშნავი კანონი „ენერგიის განაწილებისა“. თუ დედა-მიწა გაცივდა, თუ მზე გაჰქრა, შეიძლება ენერგია ისე განაწილდეს, რომ შეიქმნეს ახალი მზე, ახალი დედა-მიწა ორგანიულ სიცოცხლით.

ამგვარად, სამყარო არის საათი, რომელიც თითონ იმართება და საუკუნოდ **მუშაობს**. როდესაც სინათლე, სითბო და ელექტრონი ჩნდებიან რომელსამე ნივთში, მაშინ ყოველი ნაწილი ამ ნივთისა ტოკავს და ეს ტოკვა გადაეცემა ხოლმე ჰაერს და ჰქმნის პატარა მმოძრავ ტალღებს. თუ ეს ტალღები მოჰხვდნენ რომელსამე სხვა ნივთს, მაშინვე ამ ნივთის ნაწილებსაც აატოკებენ და აჩენენ მასში ან სინათლეს, ან სითბოს, ან ელექტრონს—იმის მიხედვით, რა გვარი იყვნენ ტალღები: სინათლისა, სითბოსი თუ ელექტრონისა. გერმანელ მეცნიერმა ჰერცმა გამოცდით დაამტკიცა ამ ტალღების არსებობა, ბ-ნმა მარკონიმ კი ისარგებლა ამ ტალღების თეორიით. თუ ელექტრონი ტალღების მოძრაობით ჩნდება, მაშ რა საჭირო არის მავთული ტელეგრაფისათვის, ელექტრონის გადაცემა უმავთულოთაც შეიძლებაო. მარკონიმ მოსპო ტელეგრაფის მავთული და გამოცდის შემდეგ მშვენიერი ნაყოფიც მიიღო.

ეხლა მისი უმავთულო ტელეგრაფის ხმარება ნელ-ნელა ვრცელდება. ელექტრონი გახლავთ ისეთი ძალა, რომელიც მხოლოდ ამ ბოლოს დროს იყო განვითარებული და რომლის წინ სვლა მეოცე საუკუნის მომავალია; ყოველ გვარ ძალით ისარგებლებენ ელექტრონის გასაჩენად: ჩანჩქარის ძალით, ქარიშხალის მოძრაობით, ზღვის ტალღებით, მზის სითბოთი, ან და, როგორც ჰფიქრობს ბ-ნი ედისონი,—თვით დედა მიწაში დამალულ სითბოს მეოცე საუკუნეში გარდააქცევენ ელექტრონადაც. ჩვენ მივიღებთ ელექტრონს მანქანების და გემების სამოძრაოდ ტროპიკულ მხარეებიდან. როდესაც ქვა-ნახშირი გამოილევა, მის ადგილს ელექტრონი დაიჭერს, რადგან ეხლაც არსებობენ ელექტრონის ფეხები.

—

1801 წელს ქიმია ისეთსავე მდგომარეობაში იყო, როგორც დღეს მეტეოროლოგია. ფაქტები ბლომად იყო მოგროვილი, მხოლოდ საჭირო იყო შეთანხმება ამ ფაქტებისა და პოვნა შეურყეველ კანონისა. ღარიბ სკოლის მასწავლებელმა ბ-ნმა ჯ. ინ. დალტონმა ნათლად გამოსახა ეგ კანონი თავის დოქტრინით. როგორც ყოველი ელემენტალური ნივთიერება, ისე ამ ნივთიერების რთული ნაწილები უერთდებაინ ერთმანეთს განსაზღვრული პროპორციით. ამ კანონის საშუალებით მეცნიერებმა მოიპოვეს მრავალი ანილინის ფერადები, იმგვარი ფერადები, რის წინად წარმოდგენაც არ შეეძლოთ; მოიპოვეს ტკივილების დამაყუჩებელი წამლები, წამლები ანთების მოსასპობლათ და მრავალი სხვა საკვირველი როგორც ხელოვნებისათვის, ისე მრეწველობისათვის. ფოტოგრაფია, ხომ ნამდვილი შვილი არის ქიმიისა.

—

ყველაზე შესანიშნავი აღმოჩენა მეცხრამეტე საუკუნეში იყო ორგანიულ ანუ ცხოველ-არსებათა შორის. გერმანიაში პირველად დაიბადა ფიზიოლოგიის შესანიშნავი თეორია. ბ-მა ლეიდენმა 1838 წელს დაგვიმტკიცა, რომ ყოველი მცენარე შემდგარია ანუ აგებულია პატარა გარსებიდან (cellules). შემდეგში ბ-მა შვანმა დაგვიმტკიცა, რომ არამც თუ მცენარე, არამედ ყოველი ცხოველი არის შეკრებილება ამ პატარა გარსებისა. 1857 წ. ბ-მა პასტერმა დაგვანახვა თავისი შესანიშნავი აღმოჩენა, რომლის ძალითაც ყოველი დუღილი მიკრობების მეოხებით ხდება. რამდენიმე წლის შემდეგ ბ-მა ლისტერმა გვაჩვენა, რომ ყოველი ანთება, ყოველი სიდამპლე ორგანიულ მიკრობების **მიზეზათ წარმოსდგება**. აქედან იწყება ახალი მეცნიერება— ბაკტერიოლოგია, —რომელმაც საფუძველი დაუდო მკურნალობას: წინდაწინვე მიიღო ყოველი ზომა ავადმყოფობის მოსასპობლად და სანიტარულ წესების გასავრცელებლად. 1858 წელს ბ-მა დარვინმა და ბ-ნმა უოლესმა დაგვიხატეს თავიანთი

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 1630.

თველობა ხელოსნებისა. ეს საკითხი უნდა განიხილოს საგუბერნიო მმართველობამ; ხოლო მანამდის, ტფ. გუბერნატორმა საჭიროდ დაინახა მოიწვიოს ადგილობრივ მცხოვრებთაგან რამდენიმე პირი, რომელთაც დაახლოვებით იციან ამქრების წეს-რიგი, და ხელოსნების მდგომარეობა და მათი მოსაზრებანიც წარუდგინოს საგუბერნიო მმართველობას.

◆ ტფილისის 1-ლ გიმნაზიის მასწავლებელი ბ. **მასიუტკევიჩი** დაინიშნა ერევნის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად.

◆ ამას წინად **ნაძალადევის სახალხო სამკითხველო ბიბლიოთეკის** გამგემ ქნ. მ. დემურიამ მიჰმართა ტფილისის ქალაქის გამგეობას თხოვნით, რაიმე შემწეობა აღმოეჩინათ აღნიშნულ სახალხო-სამკითხველოსათვის, რადგანაც იგი ძალიან ხელმოკლედ არის და მკითხველების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებსო. გამგეობამ ეს განცხადება გადასცა ქალაქის სასწავლებელთა გამგეკომისიას, რომელმაც განიხილა იგი 8 ნოემბრის სხდომაზე და გარდასწყვიტა ერთ დროებრივ 100 მანეთით შემწეობა აღმოეჩინოს ნაძალადევის სამკითხველოს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობა **სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების კომისიას** ყოველ წლობით 500 მან. შემწეობას აძლევდა; მაგრამ, რადგანაც კომისიის საქმე ისე გართულდა და მისი მოღვაწეობა ისე გაფართოვდა, რომ მოთხოვნილებას ამ შემწეობით ვერ აკმაყოფილებს, ქალაქის გამგეობისათვის თხოვნით მიუმართავს—500 მანათის მაგიერ 800 მან. გვაძლიეთო. სასწავლებელთა გამგე კომისიამ 8 ნოემბრის სხდომაზე, სხვათა შორის, განიხილა ეს თხოვნაც და შესაძლებლად ვერ სცნო სრულიად მის თხოვნის დაკმაყოფილება უფულობისა გამო და დაადგინა ყოველ წლობით კომისიას შემწეობად ქალაქიდან ეძლეოდეს 500 მან. კომისიის ეს დადგენილება ახლო მომავალში განსახილველად წარედგინება ქალაქის გამგეობას.

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, სასულიერო მთავრობამ 100,000 მან. გადასდვა და კიდეც შეუდგნენ ხარფუხში იმ შენობის აგებას, რომელშიაც გამართული იქნება სამრევლო-საეკკლესიო სკოლების სამასწავლებლო სემინარია. ეხლა, როგორც „კავკაზ"-ს შეუტყვია, **სემინარიის შენობის აგება შეჩერებულა** იმის გამო, რომ მოიჯარადრე სამუშევრებისა ტურკული უცრად გარდაცვლილა. ამ ჟამად საეპარქიო სასწავლებელთა საბჭო იმის ცდაშია, გამოსძებნოს ისეთი მოიჯარადრე, რომელიც განაგრძობს შენობის საქმეს იმ პირობით, როგორც ეს ტურკულს ჰქონდა აღებული.

◆ ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ კნ. მ. მ. თუმანოვისამ სთხოვა ქალაქის გამგეობას—მიიღოს თვის განკარგულებაში მის მიერ ამ ათი თვის წინად ტფილისში დაარსებული **ხალიჩების საქსოვი სახელოსნო**. ეს საგანი განსახილველად გადაეცა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას, რომელიც აქამომდე ამის შესახებ ვერავითარს გარდაწყვეტილს მოსაზრებას ვერ დაადგა და ამიტომ ამოირჩია განსაკუთრებული მცირე კომისია და დაავალა მას შეისწავლოს სახელოსნოს მდგომარეობა და შემდეგ თვისი მოსაზრება წარუდგინოს სასწავლებელთა გამგე კომისიას. მცირე კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი ბ-ნი ოჰანეზოვი, ტფილისის დედათა პროფესიონალურ სკოლის გამგე ქ-ნი ანანოვისა, ბ-ნი კარაპეტოვი, ა. ს. ბაბოვი და ლისიციანი.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობას უკვე მოსდის სხვა-და-სხვა პირთაგან განცხადება, რომ მომავალ არჩევნებზე ჰსურთ კენჭი იყარონ **საბჭოს ხმოსნობაზე**.

◆ მოსკოვის არტელის წევრი დრაგინი სთხოვს ტფ. ქალაქის გამგეობას დანიშნოს ის **საქალაქო კასსის** გამგედ. დრაგინი ამასთანავე აცხადებს, რომ მოსკოვის არტელი თავის თავზე იღებს პასუხის გებას კასსის უზრუნველყოფისას.

◆ საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში—**ლომბარდის კასა და ნივთების საწყობი** რომელისამე არტელის გამგებლობას გადაეცესო.

◆ ავლაბრის **ციციანოს აღმართის** ზედამხედველმა კომისიამ განიხილა საგუბერნიო სატეხნიკო კომისიის ოქმი და დაადგინა: 1) განსაკუთრებულ დარაჯთა შემწეობით თვალ-ყური ედევნოს ნამეტნავად სიშიშარ ადგილებს, რათა დროზე გაიგოს ხოლმე კლდის ჩამონგრევა; 2) განაგრძოს კლდის აღება; 3) საშიშარ ადგილებზე გააკრას ფიცრები მგზავრთა გასაფრთხილებელ წარწერით; 4) ტროტუარის გაკეთება სხვა დროისთვის გადაიდოს; 5) გეურქ მურადოვის სახლის აღების თაობაზე შეუთანხმდეს პოლიციას; 6) განაგრძოს მუშაობა აღმართის სრულის გამაგრებისათვის გეგმის შესადგენად და მასალის შესაგროვებლად; 7) შეღობოს ადგილი ფარსადანოვის მამულის ახლო, რათა ამით თავიდან აიცდინოს ქალაქის მიწების სხვებისაგან მითვისება; 8) გადასდოს მომავალ 1902 წლისათვის 1100 მ. საუკეთესო გეგმის დასაჯილდოებლად, 900 მ. აღმართის გასაწმენდათ და 1200 მან. აღმართის გამაგრებისათვის საჭირო მასალის შესაძენად. აღმართის სრული გამაგრება, კომისიის ანგარიშით, 25-ათასი მანეთი დაჯდება.

◆ ტფილისის საეკკლესიო სამრევლო სკოლებისა და ტფილისის სასულიერო სემინარიის **გალობის მასწავლებელი** ბ-ნი მ. ი. შარაბიძე ქუთაისის გიმნაზიაში გადაუყვანიათ. „კავკაზის" სიტყვით, საეპარქიო სასწავლებელთა საბჭო სცდილობს ისეთი პირი მოიწვიოს ბ-ნ შარაბიძის ადგილზე, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს როგორც ქართული საეკკლესიო, ისე რუსული გალობაც.

◆ სადგურ შორაპნიდან გვწერენ, რომ კონდუქტორი ლ. კოროლიუკი მატარებლის გაჩერებამდე გადმოხტა, მატარებელს ქვეშ მოჰყვა და მარცხენა ხელი დაუშავდა.

◆ სადგურ აჯიქაბულიდან გვატყობინებენ, რომ 8 ნოემბერს მუშები წაეჩხუბნენ **უფროს მუშას** სალახ-სალი-ოღლის და ჩხუბის დროს პლატფორმიდან გადააგდეს სწორედ იმ დროს, როცა მატარებელი მოდიოდა, სალი-ოღლის მატარებელმა ორივე ფეხი და მარცხენა ხელი გაუფუჭა. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ქუთაისიდან გაზ. „კავკაზ"-ს ატყობინებენ, რომ ოსეთის სამხედრო მე-96 ვერსტზე გამართული ხიდი დიდ ნიაღვრებს **ჩაუნგრევია** და წაუღია. წესიერ მიმოსვლის აღსადგენად საშუალებანი უკვე მიუღიათ.

◆ გუშინ საღამოს ქალაქის გამეობისა და საფინანსო კომისიის **შეერთებულმა კრებამ** განაგრძო განხილვა ქალაქის მომავალ 1902 წლის **შემოსავლისა**.

◆ ჩვენ შემთხვევა გვქონია და აღგვინიშნავს კიდეც „ცნობის ფურცელში", რომ ტფილისში მრავალნი არიან ერთგვარი **დახელოვნებული ქურდ-ბაცაცები**, რომელნიც სარგებლობენ არა მარტო ქალაქში მოსულ სოფლის ხალხის გულ-უბრყვილობით, არამედ თვის ხერხებს უფრო შეგნებულ პირებზედაც ხმარობენ და ხშირად მიზანსაც აღწევენ ხოლმე. პოლიციამ მიაგნო კიდეც ერთი ასეთი მაწანწალა ქურდი, გვარად სუკიასოვი, რომელსაც ოლქის სასამართლომ ყოველისავე ღირსების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა გარდაუწყვიტა; მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ყოველივე პატიოსნებაზე ხელ აღებულნი დიდის სიფრთხილით იქცევიან და მათი ხელში ჩაგდება შემთხვევით თუ შეიძლება. აი ასეთმა ხრიკიანმა ქურდებმა როგორ მოატყუეს ერთი მღვდელი ლ—ვა: ექვსს თუ ხუთ ნოემბერს მღვდელს ხაზინიდან 45 მანეთი გამოუტანია; შემდეგ რაღაცა საქმისათვის ერევნის მოედანზე ქარვასლასთან მისულა, სადაც მას ერთი გაიძვერა მიახლოვებია და გამოლაპარაკებია; ცოტა ხანს მას იქვე დუქანში შეუხვევია, ალბად ამხანაგების გასაძრახებლად და შემდეგ მღვდელს ლ—ს გაჰყოლია; ცოტა გზა რომ გაუვლიათ, ლ—ს მხლებელს განზრახ ქაღალდის ფულის მზგავსი ქაღალდი დაუგდია ძირს, უცბად აუღია და უჩვენებია მღვდლისათვის: მამაო, ფულები ვიპოვნე, სულ ასასიანები არის და წამოდი, გავიყოთო; მღვდელი შეფიქრიანებულა და გადაწყვეტით არა უთქვამს-რა. კარგა მანძილი რომ გაუვლიათ, ერთ მიყრუებულ ქუჩაში მათ წინ ორი კაცი შემოხვედრიათ და უთქვამთ: ფულის ქისა დავკარგეთ და თქვენ იპოვიდითო. კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ მღ. ლ—ს უთქვამს: აი, მამაო, თუ არ გჯერათ, ჩემი ქისა გასინჯეთ, თუ თქვენი ფული მეპოვნოსო. გაიძვერა ფულის მაძიებელთ ისე ხერხიანად ამოუცლიათ მღვდლის ქისიდან 45 მან. და ნაცვლად 10 ოროლ კაპეიკიანები ჩაუწყვიათ, რომ მღვდელს ვერა გაუგია რა და ჯიბეში გაუსინჯველად ჩაუდვია ქისა. მისი მხლებელი ისე ხერხიანად შემოცლია მღვდელს, რომ მას ვერც კი გაუგია. მ. ლ—ს ფულის დაკარგვა

თეორია „მოდგმის წარმოშობაზე" და ამით შეჰქმნეს ბუნების მეტყველება, განაახლეს ფილოსოფია, აუხსნეს კაცობრიობას ახალი, გასაკვირველი დოქტრინა ეგრედ წოდებული „ევოლიუცია", რომელიც ეხლა ცნობილია დედამიწის ყოველ კუთხეში და მიღებულია ცოდნის მრავალ გვარ ასპარეზზედ.

—

ჩვენ ვხედავთ, რომ მეცნიერება ჯერ არაფერს ამბობს დასაბამზე და დასასრულზე. მეცნიერება გვიხსნის მხოლოდ იმას, რისაც გამოკვლევა შეუძლიან, რაზედაც დარწმუნებულია. მეცნიერება არაფერს გვეუბნება დროს, ნივთიერების, სივრცის და სიცოცხლის დასაწყისზე, რადგან ეგ მარტო უაზრო მეცნიერებას დაბადავს. ჩვენ ვხედავთ ჩვენს საერთო პროგრესს, ჩვენ უნდა შევისწავლოთ ჯერ მოვლენების დამოკიდებულება ბუნებაში და, თუ რომელიმე ჭეშმარიტების აღმოჩენის იმედი არა გვაქვს, ის აზრისთვისაც მიუწვდომელი არის.

—

მეცნიერებამ განავითარა ჩვენი გონება, მსჯელობა. გონებამ და მსჯელობამ თავის მხრივ სიტყვითა და მწერლობით განავითარეს კაცობრიობა. ჩვენ ვხედავთ რა დიდი ნივთიერი სარგებლობა მოუტანა მეცნიერებამ კაცობრიობას, ჩვენ ვხედავთ რა დიდი გავლენა აქვს მეცნიერებას ჩვენს წეს-წყობილებაზე, ჩვენს ცხოვრებაზე. მეცნიერების გავლენის ქვეშ ჩვენი სიტყვიერება ნელ-ნელა იცვლება—დღეს ყველა ლაპარაკობს მიკრობებზე, ყველა აღიარებს ბრძოლას არსებობისათვის, ყველას ესმის, რომ თუ რამდენიმე ადამიანი ერთად ცხოვრობს, მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ადვილად მოიპოვოს სიმშვიდე, საზრდო და გამრავლების საშუალებანი. მეცნიერული შესწავლა ცხოვრების ისტორიისა, მისი პროგრესისა, მის ოგანიზაციისა დედამიწის ზურგზედ გვაძლევს მშვენიერ გაკვეთილს შემდეგ მოქმედებისთვის. მეცნიერული მეტოდი საჭიროა და აუცილებელია ადამიანის ყოველ გვარ მისწრაფებაში, მეტოდი, რომელიც დაფუძნებულია დაკვირვებაზე, გამოცდაზე და ნამდვილ ცოდნაზე, მეტოდი, რომელიც სდევნის ყოველ მისტიურს, ოცნებრივს—ყოველთვის ერთად ერთი წყარო იქნება კაცობრიობის მატერიალურ, სოციალურ და ზნეობრივ პროგრესისა. ყველამ იცის, რა დიდი მატერიალური ცვლილება მოახდინა მეცნიერებამ კაცობრიობის ცხოვრებაში; ამისათვის სამყოფია დაადაროთ ცხოვრება ველური ხალხისა განათლებულ ხალხის ცხოვრებას, ანუ ჩვენი ცხოვრება ევროპიელ ხალხისას. ყველასაგან ცნობილია ის მკვიდრი კავშირი, რომელიც არსებობს მეცნიერების, ხელოვნების, პოეზიის და ზნეობის შორის; მეცნიერება მაძიებელია წმინდა ჭეშმარიტებისა, პოეზია და ხელოვნება მაძიებელნი არიან მშვენიერებისა. ერთობა ჭეშმარიტებისა და სიმშვენიერესი იყო გამოთქმული თვით პლატონის მიერ. ცოდნა ადამიანის ინტელექტიურ და ზნეობრივ კანონებისა, ცოდნა თვით კაცობრიობის ცხოვრებისა, რომელიც ყოველ დღე ნათლდება ისტორიულ, ბიოლოგიურს, ფიზიკურ და ასტრონომიულ აღმოჩენით, არის უსაჭიროესი მოთხოვნილება ყოველის ხელოვანისა, ყოველი პოეტისა. მიქელ ანჯელო, ლეონარდ დევინჩი, დანტე, შექსპირი ეგრეთივე მეცნიერნი იყვნენ, როგორც გალილეი, კოპერნიკი და ნიუტონი, რადგან მათი თავისუფალი ხელოვნება, მათი თავისუფალი აზრი არღვევდნენ მისტიური მიმართულებას. მხოლოდ მეცნიერება იკვლევს ნამდვილ ნიადაგს როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ და სოციალურ ზნეობისას. ეს ნიადაგი დაფუძნებულია იმ შთამომავლობითი გრძნობებზე, რომელნიც ვითარდებიან აღზრდის, განათლების და ცოდნის გავლენით. მეცნიერება აცხადებს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება განავითაროს თავისის ბუნებრივი თვისებანი ცოდნით და აღზრდით; მეცნიერებას სურს ყოველ ადამიანს მოუპოვოს ცხოვრებაში თანასწორი ქონებრივი, ზნეობრივი და ინტელექტიური უფლება, რომ ამით ყველას მისცეს საშუალება, ისარგებლოს თვის წინაპართა შრომა-გამოცდილებით. მეცნიერება გვიხატავს ევოლიუციას, წინ სვლას პროგრესისკენ, მეცნიერება გვიქადაგებს მკვიდრ კავშირს ადამიანთა შორის, სოციალურ თანასწორობას, საერთო მშვიდობიანობას, გვიბადავს იმედს ცოდნის გაფართოებისას და ცხოვრების გაუმჯობესობისას, რადგან გრძელია კაცობრიობის პროგრესის გზა.

ჩვენ რაღას ვშვრებით? თუ არ შეგვიძლიან მეცნიერულ ჭეშმარიტების მოპოვება, რადგან არ გვაქვს უმაღლესი სასწავლებლები, არა გვაქვ ლაბარატორიები, ის მაინც გავიცნოთ და შევისწავლოთ, რაც მოპოვებულია. ჩვენი ხალხი ისევ სიბნელეში სუფევს და ყოველი მოწოდებული ცოდნა მისთვის სასარგებლო იქნება. ბევრია ჩვენში მეცნიერების მცოდნე, მრავალნი არიან მასწავლებლები სხვა-და-სხვა გიმნაზიებში, მრავალია რიცხვი უმაღლესად განათლებულთა. თუ ცხოვრება ნებას არ აძლევთ მათ სხვაფრივ იმოქმედონ, მეცნიერულ ცოდნის გავრცელება ხომ შეუძლიანთ. რომელ ქალაქშიაც უნდა იყოს ამგვარი ადამიანი, ყოველთვის შეუძლია გამოიჩინოს ჭეშმარიტების განმარტება თუნდ რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და ნემეცურ ენებზე; ამგვარ განმარტების თარგმნა ქართულ ენაზე ყოველთვის შეიძლება. მაგრამ საჭიროა ყოველ ენაზე დაწერილი თხზულება ორიგინალური იყოს, რადგან ბოლოს საზოგადო ხასიათი დაედება მთელ ლიტერატურას. მაშ შევქმნათ სამეცნიერო წრე, ანუ საზოგადოება, რომლის დაახლოვებული საგანი იქნება გავრცელება მეცნიერულ ცოდნისა საზოგადოებასა და ხალხთა შორის. თუ ამ გვარი საზოგადოება განვითარდა, მას შეუძლიან მიჰყოს ხელი ექსკურსიებს, მოგზაურობას, მასალის შეკრებას და გაგზავნას საზღვარ გარედ, რითაც დიდ დამოკიდებულებას გაიჩენს ევროპიელ მეცნიერებთან. ჩვენ ვგონებთ, ამგვარ საზოგადოებაში ყოველგვარ მიმართულების ადამიანები მოთავსდებიან, რადგან წმინდა ჭეშმარიტების ძებნას შეუდგებიან. შეიძლება სთქვას ვინმემ,—კიდევ საზოგადოებაო. დიახ, კიდევ საზოგადოება, თუ ჩვენში ძალა და ენერგია არსებობს, რადგან სხვა ერებში ათასობით არსებობენ სხვა-და-სხვა საზოგადოებები. ვისთვისაც ძვირფასია მეცნიერულ ცოდნის გავრცელება, იმედი გვაქვს, ხმას მოგვცემს რომელიმე გაზეთის საშუალებით და შეიძლება მოკლე ხანში შევიტყოთ კიდეც რიცხვი მსურველებისა. შემდეგში, რასაკვირველია, ვეცდებით შევთანხმდეთ და წინ წავწიოთ ამგვარი სასარგებლო საქმე.

გიორგი დეკანოზიშვილი

მაშინ გაუგია, როცა სახლში მისულა და აბა რაღას გააწყობდა.

◆ 7 ნოემბერს, დილის 7 საათზე პოლიციის მე-9 ნაწილში გორის მაზრის ს. ჭომისხევის მცხოვრებს მიხეილ ლომსაძეს სხვებთან ერთად ტივი მიჭქნებია. როცა კუკიის ხიდს ცოტა ჩასცილებიან, თოკი გადაუგდიათ და მეორე ნაპირზე გატანა მოუნდომნიათ, მაგრამ თოკი გაწყვეტილა და ტივი წყალს გაუქანებია და ისე ძლიერ დაუტაკებია ტერ-ავაქოვის წისქვილისათვის, რომ ტივი დაშლილა და ყველა მეტივეები — სამი კაცი — წყალში ჩაცვივნულან. მხოლოდ ორი კაცის გადარჩენა მოუსწვრიათ, ლომსაძე კი წყალს სიღრმეში ჩაუთრევია და დაუხრჩვია. დამხრჩვალის გვამი ჯერაც ვერ უნახავთ.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში, დამოჟნის პირდაპირ, ანდრეევის და დამოჟნის ქუჩის შესართავთან ნიაღვრებისაგან დგება ისეთი შლამი, რომ თითქმის ზაფხულობითაც არა შრება, რის გამოც ისეთი სუნი დგება, რომ მეტად შეწუხებულნი არიან თურმე მახლობელნი მცხოვრებნი. ამას გარდა ლაფი გადადის ცხენის რკინის გზის ლიანდაგზე, ასე რომ ხშირად ვაგონების მოძრაობაც შეუძლებელი ხდება ხოლმე. ამის გამო მე-10 ნაწილის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას — საშუალება იხმარეთ ანდრეევისა და დამოჟნის ქუჩის შესაკეთებლადაო.

◆ გუშინ-წინ ტფ. რკინის გზის სადგურზე დაატუსაღეს ავალიანის აზიურ მაღაზიის ნოქარი, რომელსაც უნდოდა ბათუმში საქონლის მაგიერ ორი ყუთი აგური გაეგზავნა.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში, ლაბორატორის ქუჩაზე, პოლიციელმა ნახა 3 კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი მამრობითი სქესისა და ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნა.

◆ სოლოლაკის ქუჩაზე ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ თელავის მოქალაქის სიმონ ივ. ლაზარევის სახელოსნოდან მოუპარავთ სხვა და სხვა იარაღები სულ 200 მან. ეჭვი ქურდობაში ლაზარევს განუცხადებია თვის ხელოსნებზე ვლადიმერ ვენცაძესა და იოსებ ზალუკაშვილზე, რადგანაც ესენი მაშინათვე დამალულან, როგორც კი ლაზარევს იარაღები დაკარგვია და მოუსაკლისებია. კარგა ხნის გამოძიების შემდეგ პოლიციას ზოგი დაკარგული ნივთებიც მიუგნია და ვენცაძე და ზალუკაშვილიც დაუჭერიათ საქმის გამოსარკვევად. გამოძიება სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილში ტფილისის მოქალაქე პავლე პაპოვისათვის მოუპარავთ 110 მან. ღირებული ხალიჩა. ეჭვი ქურდობაში პოპოვს განუცხადები სპარსეთის ქვეშევრდომ მელიქ ღარიბოვზე, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

რუსეთის ქრონიკა

∝ ამ ჟამად საერო განათლების სამინისტროში მუშაობს კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეიმუშავოს ქალთა საპროფესსიო სკოლების რეფორმის პროექტი.

∝ ფინლიანდიის სენატს გარდაუწყვეტია იშუამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს, რომ ფინლიანდიაში საფაბრიკო ინსპექტორების თანამდებობაზე ქალებიც ინიშნებოდნენ.

∝ ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროში ადგენენ ახალ ინსტრუქციას საპატიმროთა შესახებ. ინსტრუქციაში დიდი ყურადღებაა მიქცეული საპატიმროებში სწავლა-განათლების საქმის უკეთ მოწყობაზე. განზრახულია პატიმართათვის ლექციების კითხვა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების დაარსება და სხვა.

∝ ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ ამ უწყებაში მსახურების მსურველთ მოეთხოვოთ მეტი განათლების ცენზი, ვიდრე ეხლა არის დაწესებული.

პრესსა

„ნოვ. ვრ.“ ხშირად უბრუნდება ხოლმე თავის საყვარელ თემას — რუსეთის ცენტრისა და განაპირა ადგილების შუა დამოკიდებულება-ურთიერთობას. ეხლაც (№ 9221) სუვორინის გაზეთში დასტამბულია დიდი ფელეტონი მენშიკოვისა ამ საგნის შესახებ, სათაურით „კამათი მანძილის გამო“. ფელეტონის აზრი ის არის, რომ რუსეთის შუა გულს, ნამდვილ რუსეთს, ცუდ სამსახურს უწევენ განაპირა ქვეყნებიო. რუსეთი მოწადინებულია გაიმაგროს ზურგი საზღვრებზე, შემოიერთოს და შეიკავშიროს ვეებერთელა მანძილზე გადაჭიმული განაპირა ქვეყნები და ამისათვის არც ფულს ზოგავს და არც ხალხსო. რუსეთის მრავალი შვილი ეტანება განაპირა ქვეყნებს, რომელთა სამუდამოდ შესაერთებლად რუსეთს ძრიელ ბევრი ეხარჯება; ხოლო ამით ცენტრი მეტის მეტად სუსტდებაო... ფელეტონში ბევრი სუვორინისებური „მარგალიტებია“, რომელთაგან ერთი ჩვენც შეგვეხება და აქვე მოგვყავს. ერთ-ერთ მოკამათეს პირით ფელეტონისტი ამბობს:

> „დამტკიცებულია ის ფაქტი, რომ რუსეთის შუა გულს (ველიკოროსსიას) უფრო მეტი გარდასახადი აწევს კისერზე, ვიდრე განაპირა ქვეყნებს; ასე რომ განაპირა ქვეყნები-კი არ იხდიან ხარკს, არამედ რუსეთი უხდის ხარკს დაპყრობილ ქვეყნებს. მაგალითად, ჩვენ დავიპყრეთ კავკასია და ფინლანდია, მაგრამ მრავალ წლების განმავლობაში უხდიდით მათ კონტრიბუციას. გაიხსენეთ ამასთანავე, რომ იმ დროს, როდესაც შუაგულის მართმადიდებელი რუსები ყმებად გავხადეთ, პოლონეთის შლიახტასა და მონათლულ ურიებს რუსეთის თავად-აზნაურობის უფლებანი მივანიჭეთ; ასეთივე უფლებანი და ღირსება მივანიჭეთ ქართველ და თათარ მწყემსებს, რომელნიც რიურიკოვიჩებს ამოვუყენეთ გვერდში. შეიძლება ამ გზით უფრო ადვილია განაპირა ქვეყნების გარუსება, მაგრამ მეტად ძვირად უჯდება ეს რუსეთის ცენტრს.

* * *

«ივერიის» ფელეტონისტი „სახელგანთქმული“ ჩიორა თავისას არ იშლის და უზრდელ სიტყვ-პასუხით ამშვენებს სტუმრისმოყვარე გაზეთის ფურცლებს. წარსულ კვირას მან აბუჩად აიგდო „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კრების წევრთა ერთი ნაწილი და დღეს მათვე უძლვენის შემდეგ თავისებურ „საპოლემიკო მარგალიტს“:

> „ზოგიერთთაგან სამდურავი გავიგონე, რომ ვითომც ჩემს „სახელდახელო“-ში, რომელიც კვირის ნომერში დაიბეჭდა «ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების» წლიურ კრების შესახებ, გამეკიცხოს საკვირაო სასწავლებელი. ამითი ვაცხადებ, რომ მე საზოგადოდ არც ერთი საკვირაო სასწავლებელი არ მქონია მხედველობაში და დავწერე რა, რომ „საკვირაო სასწავლებლის მოსწავლენი“ მოვიდნენ მეთქი კრებაზედ, ამით მინდოდა აღმენიშნა ის ხარისხი განათლებისა, რომელზედაც სდგას მესამე დასის უმრავლესობა.“

ურიგო არ იქმნება, „ივერიის“ რედაქციამ გვამცნოს „ის ხარისხი განათლებისა, რომელზედაც სდგას“ თვით მისი ფელეტონისტი ჩიორა...

პროვინცია

ს. ძევრი (ქუთაისის მაზრა). წრევანდელი მოსავალი წინა წლებთან შედარებით განახევრებულია. ამ მოუსავლობას მეორე ჭირიც ზედ დაერთო: ქუნთრუშის გავრცელება. მოსალოდნელია, რომ ეს ავადმყოფობა მთელ სოფელს მოედოს, თუ არ დაგვეხმარნენ. ადგილობრივი მოვლა იმაში მდგომარეობს, რომ მოშორდებიან იმ არე-მარეს, სადაც ასეთი ავადმყოფობა გაჩნდება, არ დაკვლენ ქათამს ანუ სხვა რამეს (ბატონებს ეწყინებაო) ავადმყოფის პატრონების მახლობელი მეზობლებიც და თუ ავადმყოფის ჭირისუფალს ნათესავებმა არაფერი მოუტანეს, საწყალს ავადმყოფს ლობიო უნდა აჭამონ და მით ავადმყოფობა ერთი-ორად უნდა გაუძლიერონ.

სწავლა-განათლების საქმეც ცუდად არის ამ მხრისაკენ. ს. სიმონეთის საზოგადოება შესდგება შვიდი სხვა-და სხვა სოფლიდან (ს ძევრიც ეკუთვნის), და მცხოვრებთა რიცხვი არის არა ნაკლებ 1500 კომლისა. ამოდენა საზოგადოებას აქვს ერთად-ერთი სახალხო სკოლა. ეს სკოლა ადგილობრივ მასწავლებელს ჭსურდა გადაეკეთებია ორ კლასიანად. ერთხელ დაეკითხა საზოგადოებას, მაგრამ საზოგადოებამ უარი განაცხადა. განმეორებით ამ საქმის შესახებ დაკოთხვა დანიშნული იყო გასულ 28 ოქტომბერს. დანიშნულ დღეს ხალხი შეიკრიბა, მამასახლისმა გამოუცხადა ხალხს სხვა-და-სხვა განკარგულებანი ბ. მაზრის უფროსისა და შემდეგ მოხდა ბაასი შესახებ სასწავლებლისა შეიქმნა დიდი ყვირილი და საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ რამდენიმე პირი შეცვივდნენ სასწავლებლის ოთახში და გამოჰყარეს შეგირდების დასაჯდომი სკამები და რამოდენიმე კიდეც დაამტვრიეს, აგრეთვე ათხარეს სასწავლებლის ეზოში გაშენებული ხე ხილები. მამასახლისმა ეს გარემოება შეატყობინა ბოქაულს. ცხრა კაცი, გვარად: გიგაშვილი, ბარდაველიძე, კეზევაძე, კრავიშვილი, კლდიაშვილი, ხაჭაპურიძე და სხვა დაპატიმრებულია.

ანექშოდისტე როფაქიძე.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 ნოემბერი.

პეტერბურგი. ინგლისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე დიკენსონის მეთაურობით და მეცადინეობით, შეჰკრიბეს ტიანძიში მცხოვრებელ ინგლისელებს შორის 7,080 დოლარი. ეს ფული უნდა მოახმარონ იმ რუსის ჯარის კაცების სახსოვრად ასაგებს ძეგლს, რომელნიც დაიხოცნენ აქ წარსულ წელს. ფული რუსეთის კონსულს გადასცეს. პეკინში მყოფმა ჩვენმა ელჩმა, იმპერატორის სახელით, მადლობა გადაუხადა დიკენსონს და იმ ადგილობრივ ინგლისელ ქვეშევრდომთ, ვისაც კი ამ საქმეში მიუღია მონაწილეობა.

ფრანკფურტი. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ ის სიტყვით, ფრანგის მეორე სამხედრო გემი „მონეტ“-ი, რომელიც ბოსფორში იდგა, კონსტანის კონსტანტინეპოლიდან წასვლის რამდენიმე კვირის შემდეგ, საალღუმოდ გაემგზავრა. დაბრუნების დროს, როცა დარდანელს მოადგა, გემმა მოსთხოვა ხონთქარს ფირმანი თავისუფალ მგზავრობისათვის. ხონთქარს არ უნდოდა, რომ საფრანგეთის გემი დარდანელს გამოსცილებოდა, ამისათვის გარეშე საქმეთა მინისტრ უბრძანა, იშუამდგომლე, რომ საფრანგეთმა ხელი აიღოს ამ თხოვნაზედაო. ბევრს ჰგონია, რომ „მონეტ“-ი მაინც გასცილდება დარდანელს, ფირმანიც რომ არ მიიღოს.

პარიზი. სოციალ-რადიკალები სრულ თავისუფლებას აძლევენ თავიანთ მომხრეთ ჩინეთის საექსპედიციო სესსის გადაწყვეტის კითხვაში მელინის გაზეთი „რეპუბლიკ“-ი ამბობს, რომ ზომიერი რესპუბლიკელები მთავრობას მხარს მისცემენ, რადგან სამინისტროს რიბოს წინადადება მიუღია შესახებ საფრანგეთის გავლენის გაძლიერების საჭიროებაზე აღმოსავლეთში.

აპელდორნი. დედოფალი ჯერ-ჯერობით ჰაერზედ არ გამოდის, თუმცა შედარებით კარგათ იმყოფება. ამ ბოლოს დროს მისი ექიმი მხოლოდ დღეში ერთხელ მოდიოდა ხოლმე ავადმყოფის სანახავად. დედოფალი სუსტად არის, ამისათვის ჯერ გაფთხილება მმართებს. დედოფლის სახლობა 7 დეკემბერს დაბრუნდება ჰაგაში.

ბიისკი. აფატინისაგან, კოზლოვის ექსპედიციის წევრისაგან, აქ მის დედ-მამას წერილი მოუვიდა. წერილიდან სჩანს, რომ წარსულ წლის აპრილის ნახევარ რიცხვებში ექსპედიცია ცაიდალამდე მისულა, სადაც საწყობი გაუმართავს, და იქ დაუტოვებია ხუთი კაცი. დანარჩენი 15 კაცი ტიბეტში გაიმგზავრნენ, სადაც ექსპედიციამ 13 თვე დაჰყო. იქ ხელში ჩაიგდო ძვირფასი კოლლექციები და ივნისის ნახევარში საწყობისაკენ გამობრუნდა. გზაში სამჯერ მოუვიდა შეტაკება ავაზაკებთან. აგვისტოში ექსპედიცია რუსეთის საზღვრებისაკენ გაემგზავრა. 25 ნოემბერს კიახტაში მოელიან.

მინსკი. 6 ნოემბერს გახსნეს საკომერციო სასწავლებელი.

სევასტოპოლი. შტაბს კაპიტანს გავრილოვს და მოხელე ეფრემოვს 16 თვე ციხე გადაუწყვიტეს, რადგან ბოროტ-განმზრახვა ჩაიდინეს ბათუმის ნავთ-სადგურში ნახშირის გადმოტანის დროს. ფოტიადესი გაამართლეს.

ტიუმენი. აცივდა. ჯერ არ თოვს გზები გაფუჭდა. პურის ფასი დაეცა.

სევასტოპოლი. კანონერკა „ზაპოროჟეცი“ „ჩერნომორეცის“ ადგილს დაიჭერს კონსტანტინეპოლში.

პარიზი. დეპუტატთა პალატამ განიხილა ჩინეთისთვის სესსის კითხვა. 263 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 215 ხმისა უარ-ჰყო სამბას წინადადება ამ კითხვის მოსპობის შესახებ. ვალდეკ-რუსსო წინაამდეგი იყო სამბას წინადადებისა. 358 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 183 ხმისა პალატამ გადასწყვიტა. დაწვრილებით განხილვას შეუდგეთო.

ჰააგა „ფატერლანდის“ სიტყვით, ადმინისტრაციულ საბჭოს სამედიატორო სამართლის გადაწყვეტილება გუშინ ერთ ხმით იყო მიღებული. პრეზიდენტმა აცნობა ეს გადაწყვეტილება ყველა იმათ, ვისაც პეტიციაში მიუღია მონაწილეობა. კრიუგერს არ აცნობებენ, რადგან ხელი არ მოუწერია ბურების წარმომადგენელთა წინადადებაზე.

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

ტელეფონი № 741.

განმარტება

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „**ფარმაცევტების გარდა სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდე: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?**“

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, **წევრებად კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა. პაი ღირს ხუთი თუმანი.** მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალიხანაშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა· Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—63)

ადრესი ტელეგ.: Тифлисъ. Фармацевтика.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კიოსკში

სურათები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროის საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა

ფასი 20 კ.

ჯგუფი ქართველთა მწერლებისა

სურათები, შედგენილი ტ. მომცელიძისა. — **ფასი 85 კაპ.**

იქვე იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Ноября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.